

**შპს „ჯი თი ერ ”
ფინანსური ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ს ა რ ზ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	2
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/Dec/2022	31/12/2021	1/01/2021
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	409,358	402,023	600,785
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
საინვესტიციო ქონება		-	-	-
გრძელვადიანი აქტივები		409,358	402,023	600,785
მარაგები	10	373,524	117,973	100,701
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,506,862	2,592,932	1,760,335
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	1,352,828	1,070,033	63,842
მიმდინარე აქტივები		4,233,215	3,780,939	1,924,878
სულ აქტივები		4,642,573	4,182,962	2,525,663
კაპიტალი				
კაპიტალი		342,054	342,054	321,239
გაუნაწილებელი მოგება		3,484,491	3,370,632	25,528
სულ კაპიტალი		3,826,545	3,712,686	346,767
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	816,029	470,276	2,172,896
მოკლევადიანი სესხები		-	-	6,000
მიმდინარე ვალდებულებები		816,029	470,276	2,178,896
სულ ვალდებულებები		816,029	470,276	2,178,896
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,642,573	4,182,962	2,525,663

თქა ცხვითავა

ანჟელა წულაია



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	2022	2021	1/01/2021
მომსახურების რეალიზაცია	4	18,506,447	12,378,963	3,233,659
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	5	(1,851,145)	(1,298,761)	(519,452)
საერთო მოგება		16,655,302	11,080,202	2,714,207
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	6	(11,103,125)	(6,059,409)	(1,974,012)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(5,038,426)	(2,593,395)	(2,520,700)
სხვა შემოსავალი/ხარჯი		(91,734)	1,015,438	(289,120)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		422,016	3,442,836	(2,069,625)
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი		(104,833)	26,974	16,299
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	8	132,651	101,053	116,824
მოგება დაბეგვრამდე		449,835	3,570,863	(1,936,501)
მოგების გადასახადის ხარჯი		(50,396)	(30,083)	(45,543)
მოგება წლის განმავლობაში		399,438	3,540,780	(1,982,044)
სხვა სრული შემოსავალი				
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად		-	-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		399,438	3,540,780	(1,982,044)

თუა ცხვიტავა

ანჟელა წულაია

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს ჯიტიერ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	31/12/2022	31/12/2021	1/01/2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	21,344,861	13,252,693	4,116,713
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(15,622,037)	(9,628,595)	(2,954,165)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(2,889,855)	(1,208,169)	(1,024,868)
გადახდილი გადასახადები	(1,801,237)	(1,097,257)	(489,490)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(162,752)	(111,426)	(37,631)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	868,979	1,207,246	(389,440)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(308,055)	(89,396)	(47,193)
სესხების გაცემა	(110,000)	(6,000)	(6,000)
მიღებული პროცენტები	22,627	-	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(395,427)	(95,396)	(53,193)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის შევსება		20,815	321,239
სესხების აღება	-	-	6,000
გადახდილი დივიდენდები	(271,301)	(142,819)	(245,174)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(271,301)	(122,004)	82,065
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)		16,344	
	80,545		(17,064)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	282,796	1,006,190	(377,633)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	1,070,033	63,843	441,475
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	1,352,829	1,070,033	63,843

თვა ცხვითავა

ანჟელა წულაია



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	კაპიტალი	განაწილებული მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	321,239	25,528	346,767
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	20,815	-	20,815
ქონების გადაფასება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		3,540,780	3,540,780
განაწილებული დივიდენდი		(195,676)	(195,676)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	342,054	3,370,632	3,712,686
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
ქონების გადაფასება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		399,438	399,438
განაწილებული დივიდენდი		(285,580)	(285,580)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	342,054	3,484,491	3,826,545

თეა ცხვიტავა

ანჟელა წულაია



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშო წლისათვის

1.

ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „ჯიტიერ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოში 2016 წლის 10 ივნისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 404515084. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, შავთელის ქუჩა #17, სასტუმრო „ამბასადორის“ მიმდებარედ. კომპანიის დირექტორი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ლაშა მელიქაძის სახით, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - დავით ყურაშვილი, 8,02,2023 წლიდან გენერალური დირექტორია თეა ცხვიტავა .

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა სასტუმროს და სარესტორნო მომსახურეობა. 2022 წლის აგვისტოდან კომპანიამ დაიწყო სარესტორნო მომსახურეობაც.

„კომპანიის“ დამფუძნებელი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილნი არიან შემდეგნაირად:

- თეა ცხვიტავა 01019005995 100%

2. მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

საქმიანობის უწყვეტობა. 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19), რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებზე. თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია უშუალოდ კომპანიაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი მიმოხილვა

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844	3.2581
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	4.1737
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233	4.4529

შემოსავლები. საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯები. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა

სატრანსპორტო საშუალებები	5-10
საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	5-10
სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება. გაწეული მომსახურების რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკასო/საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

კრედიტორული ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

კაპიტალი. კომპანიის დადგენილი კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ. კომპანიის დადგენილ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილებით. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ფულადი ვალდებულების სახით დაგამოქვითულია საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულ და დამტკიცებულნი არიან. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და საფინანსო ანგარიშგებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი ავტორიზებულია გამოსაცემად და აღნიშნულია შემდგომი მოვლენების შესახებ აღნიშვნაში.

გადასახადები

i) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

iii) საშემოსავლო გადასახადი

კომპანია იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშო წლისათვის

4. შემოსავალი

ლარი	2022	2021	2021-01
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	16,273,972	12,378,963	3,233,659
შემოსავალი რესტორნის მომსახურებიდან	2,232,475	-	-
სულ შემოსავალი	18,506,447	12,378,963	3,233,659

5. გაყიდული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	2022	2021	2021-01
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება სასტუმრო	(752,362)	(1,298,761)	(519,452)
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება რესტორანი	(1,098,784)	-	-
სულ გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	(1,851,145)	(1,298,761)	(519,452)

6. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები

ლარი	2022	2021	2021-01
ტრანსპორტირების ხარჯი	(4,991)	(3,985)	(7,521)
რეკლამის ხარჯი	(26,129)	(22,413)	(6,680)
იჯარის ხარჯი	(9,761,823)	(5,293,183)	(936,383)
სხვა	(1,310,181)	(739,828)	(1,023,428)
სულ გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	(11,103,125)	(6,059,409)	(1,974,012)

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022	2021	2021-01
შრომის ანაზღაურება	(3,966,664)	(1,565,409)	(1,618,471)
ამორტიზაცია და ცვეთა	(300,719)	(288,157)	(357,429)
დაცვის ხარჯი	(11,764)	(8,756)	(2,746)
საწვავის ხარჯი	(15,373)	(8,293)	(21,974)
მიწის ნაკვეთის ხარჯი	(32,469)	(1,928)	-
კომუნიკაციის ხარჯი	(58,274)	(103,349)	(40,204)
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	(40,467)	(3,653)	(14,639)
კონსულტაციის ხარჯები	(39,675)	(38,615)	-
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(129,465)	(151,324)	-
ბანკის საკომისიო	(130,084)	(107,333)	(89,053)
სხვადასხვა ხარჯები	(313,472)	(316,578)	(376,184)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(5,038,426)	(2,593,395)	(2,520,700)

8. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ლარი	2022	2021	2021-01
საპროცენტო შემოსავალი	132,651	101,053	116,824
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	132,651	101,053	116,824

9. ძირითადი საშუალებები

ლარი	დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე მოწყობილობა და ავტო	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა.	ჯამი
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</i>	109,586	121,864	-	369,336	600,785
მიღებულია 2021 წლის საანგარიშო პერიოდში	-	89,396	-	-	89,396
დარიცხული ცვეთა	-	(95,818)	-	(192,340)	(288,157)
გასული	-	-	-	-	-
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	109,586	115,442	-	176,996	402,023
მიღებულია 2022 წლის საანგარიშო პერიოდში	-	145,092	162,687	-	307,779
დარიცხული ცვეთა	-	(115,314)	(8,134)	(176,996)	(300,444)
გასული	-	-	-	-	-
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	109,586	145,220	154,553	0	409,358

10. მარაგები

ლარი	31/12/2022	31/12/2021	1/01/2021
ნედლეული და მასალები	84,316	-	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	289,209	117,973	100,701
სულ მარაგები	373,524	117,973	100,701

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

ლარი	31/12/2022	31/12/2021	1/01/2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	834,500	897,902	537,713
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2,856	3,052	1,437
გაცემული სესხები	1,525,024	1,303,576	1,203,425
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	144,483	388,403	17,760
სულ მოთხოვნები	2,506,862	2,592,932	1,760,335

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	31/12/2022	31/12/2021	1/01/2021
ფულადი სახსრები ლარში	116,812	647,088	5,103
ფულადი სახსრები ევროში	1,251	15,127	-
ფულადი სახსრები დოლარში	1,173,105	287,901	-
ფულადი სახსრები გირვანქა სტერლინგში	163	209	-
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	1,291,331	950,325	5,103
ნაღდი ფული ლარში	61,498	119,708	58,740
სულ ნაღდი ფული	61,498	119,708	58,740

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31/12/2022	31/12/2021	1/01/2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	296,270	88,444	1,545,864
მიღებული ავანსები	158,035	104,809	523,568
გადასახდელი ხელფასები	5,460	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	356,264	277,022	103,464
სულ ვალდებულებები	816,029	470,276	2,172,896

პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიცილური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიცილური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორცილებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არ აქვს მიმდინარე სამართლებრივ საქმეთწარმოებას ან სხვა დარჩენილ დავას.

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. „კომპანია“ პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიას“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს: პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
 - (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
 - (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

14. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კომპანიამ 2023 წლის მარტის თვეში მე-3 სართულზე, სასტუმრო ნომერში გაჩენილმა ხანძარმა დააზიანა და მწყობრიდან გამოიყვანა „მოზაიკო“-ს სარესტორნო ფლიგელი, ხოლო ხანძრის საწინააღმდეგო ქმედებების შედეგად, მთლიანად განადგურდა სასტუმრო „ამბასადორი“-ს მარცხენა მხარე.